Perspektywy Women in Tech Summit 2022

12 ოქტომბერს, 14:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში გაიმართება შეხვედრა პოლონეთის Perspektywy საგანმანათლებლო ფონდის წარმომადგენლებთან.

საინფორმაციო შეხვედრა ეხება 2022 წლის ივნისში ვარშავაში (პოლონეთი) დაგეგმილ სამიტს - Perspektywy Women in Tech Summit 2022. სამიტის მონაწილეებად შეირჩევიან სტუდენტი გოგონები და ახალგაზრდა მეცნიერი ქალები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

სამიტის შესახებ დეტალურად ისაუბრებენ Perspektywy საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი საერთაშორისო საკითხებში კაზიმირჟ ბილანოვი (Kazimierz Bilanow) და ორგანიზაციების - „სწავლა პოლონეთში“ და „"Poland - IT Hub for You" - კოორდინატორი იულია ლისიკი (Julia Łysik).

პოლონელ კოლეგებთან შეხვედრაში სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპრტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თამარ ლომინაძე, ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერი ქალბატონები და სტუდენტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს. ადმინისტრაციული კორპუსი, 221-ე ოთახი. ელ.ფოსტა: erasmusplus@gtu.ge.

ინფორმაცია:
https://gtu.ge/Suss/News/?ELEMENT_ID=18036

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ/ფაქსი: (+995 32) 237 54 34

https://gtu.ge/Suss/

www.gtu.ge

International Relations Department

Georgian Technical University

Tel / Fax: (+995 32) 237 54 34

https://gtu.ge/Suss/

www.gtu.ge